195 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. — კვირა, აგვისტოს 29 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგა 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

ქ. ლანჩხუთში არსდება ფინანსთა მინისტრის ნებართვით

გურიის სავაჭრო, საკომერციო ბანკი,

რომლის ძირითადი თანხა არის ორი მილიონი მანეთი. თითო აქცია ღირს 1000 მან. და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 50 მან. ერთი ხმის უფლებას ანიჭებს 5 აქცია. ამ თავითვე შემოტანილ უნდა იქმნეს აქციის ნახევარი ღირებულება 500 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისათვის 50 მან. ე. ი. თითო აქციაზე 550 მან. საზოგადო ოფიციალური ხელის მოწერა აქციაზე და ფულის შემოტანა დანიშნულია:

სექტემბრის: 6 ორშაბათს, 7 სამშაბათს, 8 ოთხშაბათს, 9 ხუთშაბათს და 10 პარასკევს

ლანჩხუთში საურთიერთო—ბანკში. ტფილისში—ცენტრობანკში. ქუთაისში—ვლადიმერ იაგორის ძე გვარჯალაძესთან. ფოთში—ერმილე ბოლქვაძესთან. ბათუმში—მოსე იაგორის ძე გვარჯალაძესთან. ოზურგეთში—ელისე ანთელიძესთან. სამტრედიაში სიმონ სპირიდონის ძე ქართველიშვილთან და ხეფსაში—კონსტანტინე ჭანტურიასთან. ყოველივე შეკითხვის გამოგზავნა შეიძლება ლანჩხ. საურთიერთო ბანკში.

2365 2—1 — გურიის სავაჭრო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი.

კანტორისაგან.

ხელფასისა და ქაღალდის საგრძნობად გაძვირების გამო 1 სექტემბრიდან გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"

ეღირება თვეში 200 მ. ცალკე ნომერი უველგან 10 მ.

გაზეთი 1 სექტემბრიდან წლის ბოლომდე ღირს **800 მ.** ვისაც გაზეთი გამოწერილი აქვს ძველ ფასებში მან უნდა გამოგზავნოს დამატებითი ფასი თვეში 130 მანეთი, წლის ბოლომდე დასამატებელი 520 მანეთი.

საერთო განცხადების ფასი 1 გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მან., 4 გვერდზე 10 მან., ხოლო საბუთების დაკარგვის შესახებ განცხადებანი 160 მანეთი, სამოსამართლო უწყების სავალდებულო განცხადებანი 100 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომა (15×2) 300 მანეთი. ნისია განცხადების დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 პროც. კერძო პირების განცხადებანი **ნისიად არ დაიბეჭდება.**

უფასოდ განცხადებები არ დაიბეჭდება

და მათ შესახებ კანტორა არავითარ მიწერ-მოწერას არ მართავს.

სახელმწიფო თეატრი.

ბალეტის სკოლა

იღებენ მოწაფეებს ვაჟთ და ქალთ 9-დან 16 წლამდე. ჩაწერა შეიძლება თეატრის კანტორაში 11 საათიდან 2 საათამდე. გამოცდა 15 სექტემბერს.

სკოლის დირექტორი **მ. ი. პერინი.**

858 2—2

მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს, ტფილისის ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შევარდენში" განათლების სამინისტროს ნება დართვით, გაიხსნება 8 თვიანი უფასო

ქართული

ტან-ვარჯიშული სკოლა.

სკოლაში მიიღება ორივე სქესის პირები, საშუალო განათლებით აღჭურვილნი, არა უმცირესნი 18 წლისა და ჯანსაღნი. დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე შეიძლება ჩაირიცხონ საშუალო სასწავლ. 6 კლასის და ბოლოს 4 კლასის კურსდამთავრებულნი. სწავლა იწარმოებს დილის 8 სათიდან 1-ლ საათამდე.

უველა კურსდამთავრებულთ მიეცემათ შტატის ადგილი ტან-ვარჯიშობის მასწავლებლისა რესპუბლიკის სასწავლებელში.

თხოვნები, სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ, მიიღება ყოველ დღე დილის 12-დან —1-ლ საათამდე არა უგვიანეს 15 სექტემბრისა განათლების სამინისტროში ტან-ვარჯიშობის მთავარ ინსტრუქტორის სახელზე. თხოვნასთან უნდა იქნას წარმოდგენილი მოწმობები: 1) განათლების შესახებ და 2) მეტრიკული.

სწავლის დაწყებამდე ყველა მსმენელები გაშინჯულ იქნებიან ექიმების მიერ.

859 6—2

სახელმწიფო თეატრი.

საჭიროა თანამშრომელნი ვაჟნი და ქალნი ინტელიგენტთაგანნი.

ჩაწერა შეიძლება თეატრის კანტორაში 11 საათიდან 2 საათამდინ. გამოცდა 10 სექტემბერს.

858 2—2

ტფილისის მაზრის ერობის ხმოსანთა

მერვე კრებლობა შეხდგება ამა წლის 5 სექტემბერს დილის 10 საათზე გამგეობის ბინაზე.

2494 1—1 — **გ ა მ გ ე ო ბ ა.**

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

იუსტიციის მინისტრისა.

18 აგვისტო 1920 წ., № 316.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის აგვისტოს 5-ის დადგენილების ძალით დაინიშნა ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი გრიგოლ პლატონის ძე დადიანი ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგად ამა წლის აგვისტოს 15-დან.

№ 317.

ჩაირიცხოს: იუსტიციის სამინისტროს უწყებაში სასამართლოს თანამდებობათა უმცროს კანდიდატად ქუთაისის ოლქის სასამართლოსთან, შტატის ზევით, მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაქულტეტის მე-III კურსის სტუდენტი დავით ბესარიონის ძე კაკაბაძე ჯამაგირის იმავე სასამართლოს კანდიდატთა ჯამაგირების ნაშთიდან მიცემით ამა წლის აგვისტოს 17-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არხენიძე.**

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

11 აგვისტო 1920 წ., № 248.

დაინიშნოს: სავაჭრო-სამრეწველო განყოფილების რეგისტრატორი თამარ ივანე ჯორჯაძის ასული ამავე განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწედ ამა 1920 წლ. 9 აგვისტოდან.

№ 249.

დაინიშნოს: სავაჭრო-სამრეწველო განყოფილების რეგისტრატორი ქეთევან ივანე ქუთათელაძის ასული ამავე განყოფილების მოანგარიშეთ ამა 1920 წ. 9 აგვისტოდან.

16 აგვისტო, 1920 წ., № 250.

განთავისუფლებულ იქმნას: სამსახურიდან თანახმად მისი თხოვნისა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებელი გიორგი სამსონის ძე აბაშიძე ამა წლის 16 აგვისტოდან.

6 აგვისტო, 1920 წ., № 251.

მივემგზავრები რა ქ. ბათომში ამა 1920 წ. 7 აგვისტოს ბათომისა და მის ოლქის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის ადგილობრივ დაწესებულებათა მოსაწესრიგებლად, ამით ვუბრძანებ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის უფროსს ალექსანდრე იოსების ძეს კანდელაკს, საბაჟო ნაწილის უფროსს ბესარიონ მიხეილის ძეს მიქაძეს, საკრედიტო ნაწილის უფროსის თანაშემწეს ვლადიმერ იოსების ძეს ბრეგაძეს და ტფილისის საბაჟოს გამგის თანაშემწეს ვიაჩისლავ ნესტორის ძეს ალშიბაიას გამოემგზავრონ ჩემთან ერთად და იყვნენ ჩემს განკარგულებაში.

№ 252.

დაბრუნდი: რა ქ. ბათუმიდან ამა 1920 წ. 11 აგვისტოს ამავე დღიდან მე შევუდექი ჩემის მოვალეობის აღსრულებას. ამით ვანთავისუფლებ სამინისტროს სავაჭრო-სამრეწველო დეპარტამენტის დირექტორს ეპიფანე ნესტორის ძეს ალშიბაიას მასზედ დაკისრებულის ჩემის მოვალეობის აღსრულებისაგან. ამავე დღიდან ვუბრძანებ ჩემთან ერთად ბათომიდან დაბრუნებულთ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის უფროსს ალექსანდრე იოსების ძეს კანდელაკს, საბაჟო ნაწილის უფროსს ბესარიონ მიხეილის ძეს მიქაძეს, საკრედიტო ნაწილის უფროსის თანაშეეწეს ვლადიმერ იოსების ძეს ბრეგაძეს და ტფილისის საბაჟოს გამგის თანაშემწეს ვიაჩესლავი ნესტორის ძეს ალშიბაიას დღეიდანვე შეუდგენ თავიანთ მოვალეობათა აღსრულებას.

19 აგვისტო, 1920 წ. № 357.

განთავისუფლებულ იქმნას: დასასვენებლად სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწე მარიამ მიხეილ ახობაძის ასული ამა 1920 წ. 20 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე.

№ 258.

საბაჟოს ნაწილის უფროსის ბესარიონ მი-

ხეილის ძე მიქაძის რაჭაში გამგზავრების გამო, მისი თანამდებობის მოვალეობის აღსრულება ევალება მისვე თანაშემწეს ალექსადრე მანუჩარის ძე მიქაძეს ამა წლის 18 აგვისტოდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი
ს. ავალიანი.

—

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოს უფროსისა.

6 აგვისტო, 1920 წ., № 256.

გაწყვეტილნი არიან: ყოფილი ფოსტალიონი ჯანიაშვილი და ყოფილი მოხელეები; სეროპ აზნაურიანცი და ვერა ტყემალაძე ფოსტა-ტელეგრაფის მოხელებათ: აზნაურავი სამტრედიაში მეხუთე ხარისხით, ტყემალაძე სოხუმში მეექვსე ხარისხით, ჯანიაშვილი გურჯაანში მეექვსე ხარისხით; მოქალაქე ილია კალანდაძე მეორე კატეგორიის ფოსტალიონათ ქვემო-მაჩხაანაში 6 აგვისტოდან, აზნაურიანცი 8 აგვისტოდან, ჯანიაშვილი ტყემალაძე 11 აგვისტოდან 1920 წლისა.

დანიშნულნი არიან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: ბართლომე ხასია, ოზურგეთის სიმონ ბისტრანი ახალ-სენაკის განყოფილების უფროსად: ხასია-ანაკლიაში, ბისტრანი დიდიკანში; განყოფილების უფროსები: ნატანების ვალერიან კაკაურიძე და ანაკლიის ალექსანდრე შენგელია მოხელეებათ: კაკაურიძე ზესტაფონში მე-4 ხარისხით და შენგელია ფოთში მეხუთე ხარისხით, შორაპნის განყოფილების მოხელე სიმონ მესხი მეხუთე ხარისხის მოხელეთ იმავე განყოფილებაში 8 აგვისტოდან, ბისტრანი და კაკაურიძე 11 აგვისტოდან, ხასია და შენგელია 16 აგვისტოდან.

გადაყვანილნი არიან: დიდი ვანის განყოფილების უფროსი დიმიტრი ერქომაიშვილი და ახალციხის მოხელე ივანე აბრამიშვილი იმავე წოდებებით თანახმად თხოვნებისა: ერქომაიშვილი ნატანებში და აბრამიშვილი ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში ორივე 11 აგვისტოდან 1920 წ.

დათხოვნილნი არიან: უფროსი მექანიკოსი ივანე ზაგარუიკო და ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: ფოსტის კანტორის მე-4 ხარისხის მაკარ ბობრიკი და ტფილისის ტელეგრაფის კანტორის მე-3 ხარისხის ქეთევან ყანჩაველი თანახმად თხოვნებისა: ყანჩაველი 30 ივლისიდან, ბობრიკი 6 აგვისტოდან და ზაგარუიკო 11 აგვისტოდან.

გაძევებულია თანამდებობიდან: გალის ფოსტის განყოფილების მოხელე ილია ჯიჯელავა 1100 მან. ძალით სისხლის სამართ. კანონისა და მიცემულია პასუხისგებაში იმავე კანონის 354 და 358 მუხლ. ძალით 11 ივლისიდან 1920 წ.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

მოსკოვში

24-ს აგვისტოს სხდომა.

მაზუთი სომხეთისათვის.

თანახმად სომხეთის მთავრობის შუამდგომლობისა, მიეცეს მას მაზუთი.

ბათომის რკინის გზელთა დღიურები.

მიეცეს ბათომის რკინის გზებზე მოსამსახურეებს დღიურები ნაცვლად ჯამაგირის 1/40—1/20 ნაწილისა.

სანიტარული გადასახადი ბორჯომში.

მიეცეს წინადადება ფინანსთა სამინისტროს ხაზინაში 800.000 მან., რომელიც ბორჯომის სახელმწიფო მამულიდან სანიტარული გადასახადის სახით ერგება ბორჯომის ქალაქის თვითმმართველობას.

1919—1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

მიღებულ იყოს სახეში დამფუძნებელი კრების ფორმულა, რომელიც გამოიტანა მან 1919—1920 წლის ბიუჯეტის განხილვის დროს.

ჭიათურის შუამდგომლობა.

დაკმაყოფილებულ იყოს ჭიათურის ქალაქის თვითმმართველობის შუამდგომლობა მის სასარგებლოდ ჭერეხის მამულის გადაცემის შესახებ.

მუხრანში.

მიეცეს სასარგებლოდ მუხრანის თემს იმ სახლის ნაწილი, რომელიც ბუჩქიევის ქალს ეკუთვნის და რომელიც ამ ჟამად უკავია მუხრანის თემის გამგეობას, გვარდიის ადგილობრივ შტაბს, მილიციას, ამბულატორიას და აფთიაქს. სახლის დანარჩენი ნაწილი სახლის პატრონის გამგებლობაში რჩება. სახლის ქირის რაოდენობა უნდა შემუშავდეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

დეკლარაცია საქართველოს თავისუფალ ვაჭრობის შესახებ.

მიენდოს ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს დაამუშავოს და გამოაქვეყნოს მთავრობის სახელით დეკლარაცია საქართველოს თავისუფალ ვაჭრობის და რესპუბლიკის საზღვრებში საქონლის თავისუფლად შემოტანა—გატანის შესახებ. დეკლარაციაში აღნიშნული უნდა იყვეს, რომ აკრძალვა ეხება იმ საქონლებს, რომელთა შემოტანა საკანონმდებლო წესით აკრძალულია. დეკლარაციამ უნდა აღნიშნოს საქართველოს მისწრაფება დასავლეთ ევროპასთან სავაჭრო დამოკიდებულების დამყარებისაკენ.

ფულის კურსის გამოცხადების აკრძალვა.

აღიკრძალა პრესაში ვალიუტის კურსის გამოცხადება: ამ დადგენილების დამრღვევთ ჩასვამენ ციხეში სამი თვის ვადით. ვალიუტის კურსის გამოცხადების უფლება მხოლოდ ფინანსთა მინისტრს ეძლევა. ფინანსთა სამინისტრომ ამის შესახებ განსაკუთრებული ცირკულიარი უნდა შეადგინოს.

იუსტიციის სამინისტროში.

კანონების გადამსინჯველ კომისიამ მუშაობა დროებით შეწყვიტა. კომისია მუშობას სექტემბერში განაახლებს.

დანიშვნა.

ფოთის მეორე რაიონის გამომძიებელი ნიჟარაძე დანიშნა საგანგებო საქმეთა გამომძიებლად.

კაბინეტურ-მეცნიერული სამოსამართლო ექსპერტიზა.

იუსტიციის მინისტრის ბრძანებით სამინისტრო იმუშავებს კანონ-პროექტს სამეცნიერო-სამოსამართლო ექსპერტიზის კაბინეტის დაარსების შესახებ. ამასთანავე მუშავდება კაბინეტის მოქმედების ინსტრუქცია. ზემოდ დასახებული კაბინეტის გახსნა განზრახულია სამოსამართლო პალატაში.

მიწად-მოქმედების სამინისტროში.

ყველის და ერბოს ქარხნის მეპატრონეთათვის მიწის ნორმის განსაზღვრა.

თრიალეთის რაიონის ყველის და ერბოს მკეთებელ ქარხნების მეპატრონეებს მიწად-მოქმედების სამინისტრომ მესაქონლეობის მიმდევართათვის მიწის ნორმის რაოდენობის კვალობაზე მიეცემათ ორმოცი დესეტინა მიწა. ამავე რაიონში მიწად-მოქმედების სამინისტრო აარსებს სარძეო ფერმას. ამ მიზნით სამინისტროსთან შესდგა განსაკუთრებული სპეციალისტთა კომისია, რომელიც გამოიმუშავებს ფერმის მოსაწყობად ტექნიკურ და საორგანიზაციო საკითხეებს. ამავე კომისიას დაევალოს ფერმისათვის შესაფერ ადგილის შოვნა. ადგილის გამორჩევაში მხედველობაში უნდა იყოს მიღებული კარლოს ფონ-კუჩენბიხის, ხუდატოვის და ხაჯივალი-ოღლის მამულები.

სასოფლო-სამეურნეო სწავლა-განათლება საქართველოში

მიწად-მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს მიმდინარე წელს თბილისის საშუალო კულტურულ ტექნიკური სასწავლებელი გაადაკეთოს საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად. სასწავლებელთან გაიხსნება შემდეგი განყოფილებები: საბაღოსნო, ჰიდრო-ტექნიკური, სატყეო, სამინდვრო და საქონლო განყოფილებები. ასეთივე სასწავლებელი გაიხსნება: ლანჩხუთში, ნოე ჟორდანიას სახელობაზე, სოხუმში და სხვა ადგილებში.

ზემო ავჭალის მცირე წლოვან დამნაშავეთა სახელოსნოს კოლონიის შუამდგომლობა

ზემო ავჭალის მცირე წლოვან დამნაშავეთა სახელოსნოს კოლონიამ მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე აღძრა შუამდგომლობა რომ დასახელებულ ადგილას გაგზავნოს რომელიმე აგრონომი ამ კოლონიის დასათვალიერებლად, თუ რა მეურნეობის დარგია ხელსაყრელი.

შვეიცარიელ ძმათა „ცემპის“ მიმართვა

ბათუმში მყოფ შვეიცარიელ ძმათა კომპანიამ „ცემპიმ“ მიწად-მოქმედების სამინისტროს წარმოუდგენა სია იმ იარაღებისა რომელიც სასოფლო-მეურნეობისთვის საჭირო იქნება. სამინისტრომ ამ იარაღების დასათვარიერებლად და შესაძენად გაგზავნა სპეციალურად თავისი რწმუნებულნი ბ-ნნი ლომოური და რცხილაძე.

ტყეების გაშენება ბორჯომის რაიონში

ბორჯომის რაიონში მიწათ-მოქმედების სამინისტროდან იგზავნება სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია იქაურ ფერდოებიან ადგილებზე ტყეების გაშენების მიზნით. ვინაიდან მიწათ-მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს ფართო მასშტაბით შეუდგეს რესპუბლიკაში ტყეების გაშენების საქმეს და საზოგადოდ ხსენებული საკითხის რაციონალურ ნიადაგზე დაყენებას, მან გადასწყვიტა ბორჯომის სახერხ-საწყობთან ახალი სისტემის თესლის საშრობი მანქანის გაკეთება. აქ დამზადდება სხვა და სხვა ჯიშის ხეების თესლი. სამინისტროს მიერ სათანადო თანხა უკვე გადაიდო.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

პეტროგრადი.

პეტროგრადის საბჭოს არჩევნების შედეგი ასეთია: სულ ამომრჩეველი იყო 562.404 კ. ამათში ფაბრიკა-ქარხნებისა და სამრეწველოების მუშები იყვნენ 253.310 წითელ არმიელები და მეზღვაურები 113.207, საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურენი 142912; უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლენი 5758 და დიასახლისები 47177. ზინოვიევი წერილში „საბჭოთა მთავრობა“ სწერს: არსებითად რომ ითქვას ეს არჩევნები პეტროგრადის მთელ მცხოვრებთა მოზრდილ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც არ აღემატება 600.000 კაც. ზინოვიეოვის ცნობით საერთოდ აირჩიეს 469 უპარტიო და 2007 კომუნისტი. ასეთი არჩევნები პეტროგრადის საბჭოში სულ მეოთხეჯერაა, რომ ხდება.

განხეთქილება მესამე ინტერნაციონალში.

გამოჩენილი სოციალისტი რენოდელი ჰუმანიტეში დაბეჭდილ მეთაურ წერილში სწერს: მესამე ინტერნაციონალში ფრაქციათაშორის საშინელი განხეთქილებაა. საფრანგეთის სოციალისტები არავითარ შემთხვევაში არ შევლენ ისეთ ინტერნაციონალში, საიდანაც გაძევებულია მენშევიკები და სოც. რევ. და სადაც აკრძალულია სამშობლოს ინტერესებისა და მის კეთილდღეობაზე ლაპარაკიც კიო.

გერმანია ბოლშევიკების წინააღმდეგ.

გარეშე საქმეთა მინისტრმა სიმონსმა გერმანიის ერთ-ერთ გაზეთში დაბეჭდა წერილი, რომელშიაც იგი ბოლშევიკების საფრთხის შესახებ თავის აზრს გამოსთქვამს, სიმონსი სწერს: როგორც ისლამი შეეჯახა დასავლეთს და დამარცხდა, ბოლშევიზმიც ისე შეეჯახება დასავლეთ ევროპის კულტურას. რუსეთის ბოლშევიკებმა უკვე შეიგნეს, რომ გერმანია ბოლშევიზმისათვის არ წარმოადგენს კეთილსაიმედო ნიადაგს. ამ ჟამად ბოლშევიზმის ასეთი პოპულიარობის მიზეზი, არის ავადმყოფობითი მოვლენები, რომლებსაც ჩვენ ევროპაში ვამჩნევთ: სურსათ-სანოვაგის ნაკლოვანება, შიმშილი და ომით გამოწვეული არევ-დარევა.

„ბოსფორი“ საქართველოს შესახებ.

„ბოსფორი“ ამიერ კავკასიის და კერძოთ საქართველოს მგდომარეობის შესახებ იტყობინება: ტფილისში და საქართველოში თავის აგიტაციის გასაძლიერებლად ბოლშევიკებმა ყოველგვარი ზომები მიიღეს, მაგრამ ბოლშევიკებმა არ გაითვალისწინეს, რომ საქართველოს მთავრობას და ხალხს, ისე, როგორც სომხეთის ხალხს, ბოლშევიზმი არა სურს. ამიტომ ბოლშევიზმის აგიტაცია ამ ქვეყნებში შესაფერისი ნიადაგი ვერ მოიპოვა. თავის მოქმედებით ბოლშევიკებმა მიაღწიეს მხოლოდ იმას, რომ ჩრდილოეთ-კავკასიის ერები მათ წინააღმდეგ უკვე მხედრდებიან. ბოლშევიკებმა ბოლოს და ბოლოს უნდა აღიარონ, რომ ცოტათ თუ ბევრად ჯანმრთელი ერები, ასეთი როგორიც ქართველებია, ბოლშევიზმის ავადმყოფ იდეებს არ აყვებიან.

იაპონიაში.

„ჩიკაგო ტრიბუნი“ სწერს: იაპონიის მთავრობამ სემიონოვთან შეთანხმებით საბოლოოდ გადასწყვიტა აღმოსავლეთ ციმბირში სახელმწიფო ბუფერი. იაპონიის მთავრობის აზრით ასეთი სახელმწიფოს შექმნა ხელს შეუწყობს ციმბირში მშვიდობიანობის დამყარებას. ეს სახელმწიფო უნდა იყოს დემოკრატიული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში კომუნისტური არ უნდა იყვეს. ასეთი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, რომელშიც შეევა ირკუტსკიდან ვლადივასტოკამდი მდებარე ტერიტორია. იაპონია ციმბირის ტერიტორიიდან გაიყვანს თავის სამხედრო ძალებს. იაპონიის ჯარები იმ შემთხვევაში დარჩება, თუ მცხოვრებლები მათ დამხმარეობას სთხოვენ.

(გაზეთებიდან).

საქართველო და ჩეხო-სლოვაკია

ამ დღეებში ბათომში ჩამოსულა ჩეხო-სლოვაკიის ეკონომიურ კომისიის რწმუნებული ი. კუანი. კუანს განზრახვა აქვს საქართველოს და ჩეხო-სლოვაკიასთან მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა დაამყაროს. კუანის აზრით ჩეხო-სლოვაკიას და საქართველოს ეკონომიური ურთიერთობა. დიდ სარგებლობას მოუტანს. ჩეხო-სლოვაკია ეცდება საქართველოს ბაზარზე გადმოიტანოს ის რაც საქართველოში ან არ არის, ან და ძვირად მოიპოვება. ეს არის უფრო ტექნიკური მხარე. საქარხნო და სამრეწველო საქონლის უქონლობა საქართველოში. საქართველოდან კი შეიძლება ჩეხო-სლოვაკიამ გაიტანოს ის მასალა, რაც ჩეხო-სლოვაკიაში არ მოიპოვება.

ყირიმში.

— ყირიმში შემოვიდა ახალი მოსავლის ხორბალი. ფუთი ღირს 2.400 მანეთი.

— მიუხედავად მოხალისეთა ბლოკადის ყირიმს და ოდესას შუა სამგზავრო მიმოსვლა მაინც არსებობს.

— საზღვაო მინისტრმა გენერალ ვერასიმოვმა თავის თანამდეომბას ოავი გაანება.

გროზნას აღება.

კავკავიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ რომ ჩაჩნელებს ყაზახებთან ერთად ქალაქი გროზნა აუღიათ. ბალშევიკები დიდათ დამარცხდნენ და დიდი ზარალიც მოუვიდათ. მათ უკან დაიხიეს.

ბალშევიკების აღსარებები.

ბალშევიკების შორის ლაპარაკობენ რომ თუ ვინიცობაა მინერალურ წყლების დათმობა მოუხდებათ მაშინ კავკავსაც უბრძოლველად დასტოვებენ. ბალშევიკებს უნდათ თავდაცვითი საბჭოს შეჰქმნა დაღესტნის ტერიტორიაში ქ. პეტროვსკთან.

გლეხთა აჯანყება რუსეთში.

სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ რომ რუსეთის ბევრ სოფლებში გლეხები დიდ აჯანყებებს აწყობენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ამას ხელს უწყობს ისიც რომ წელს რუსეთის იმ ადგილებში, სადაც ზღვა პურის მოსავალს მოელოდენ მეტად უმნიშვნელო პური მოუვიდა გლეხებს. გლეხები ძალიან გაბრაზებულნი არიან რომ მათ არც ფართლეულობა მოეპოვებათ ტანზე ჩასაცმელად და არც საკმაო პური რომ სიმშილს დაახწიონ. უკმაყოფილება და მღელვარება თან და თან იზრდება.

მახნო.

მახნოს ჯარი რიცხვით 15000 კაცამდე მიაწვა სადგურ ჩაპლინს და სილნ ულნიკოვს და ადგილ გრიბნოსთან ბევრი დავლა და წითელ არმიელთა ტყვე იგდეს ხელში წითელ არმიელებიდან ყველანი გაქცევას აპირებენ. მათ სულ მთლად გაანთავისუფლეს. ჩაპლინსსინხლნიკოვის რკინის გზის ლიანდაგიდან უკან იხევენ.

ბრძოლა როსტოვთან.

როსტოვის ახლო გაცხარელებული ბრძოლა სწარმოებს. დონელების დესანტის რაზმიდან არ არის მსხვერპლი მხოლოდ ბოლშევიკები დიდად შეიწროებულნი ბატაისკისკენ დაიხიეს. მათ მხარეს არის მსხვერპლი.

დონელების აჯანყება.

გენერალ ნაზაროვის პარტიზანული ჯარში დიდ ძალამ მოიყარა თავი. ჯარში კარგი დისციპლინაა და ენერგიულადაც მოქმედობს. ეს ჯარი მიიწევს როსტოვისკენ რომ იქ შეუერთდეს რეგულიარულ ჯარის ნაწილებს. ბოლშევიკების საფრთხე უფრო ორკეცდება.

ქართველთა მდგომარეობა ჩრდილო-კავკასიაში.

საქართველოს კონსულმა ს. პაიჭაძემ გარეშე საქმეთა სამინისტროს გაუკეთა მოხსენება ყუბანის და დონის ოლქის, სტავროპოლისა და შავი ზღვის გუბერნიებში მცხოვრებ ქარ-

თველთა მდგომარეობის შესახებ. კონსულის ცნობით დასახელებულ ადგილებში მცხოვრები ქართველები იტანენ სხვა და სხვაგვარ დევნასა და შევიწროებას. ჩიჩერინის დეკრეტი უცხოელების უფლებათა შესახებ ხშირად ირღვევა. ქადთველთა ქონებას უკეთებენ რეკვიზიციას, ქართველები გაჰყავთ სავალდებულო სამუშაოზე და სამხედრო ბეგარის მოსახდელადაც. კერძოდ ქართველებზე გავრცელდა 1900—1901 წლებში დაბადებულთა მობილიზაცია. შრომის ბეგარა ზოგჯერ სახიფათოა. მაგალ. ქართველები გაყავდათ გადამდებ სენით საავადმყოფოებში, კედლებისა, ფანჯრების და იატაკის საწმენდად. აგრეთვე მათ არეცხინებდენ გადამდებ ავადმოფთა საცვლებსაც. ქართველებს ბევრი დაუძლეველი დაბრკოლება ხვდებათ საქართველოში წამოსვლის დროს. საქართველოსაკენ გამომგზავრებულ ქართველებს საბჭოთა რუსეთის საზღვარზე ჩხრეკენ, ართმევენ შინაურ ავეჯეულობას და ოცი ათას მან. მეტ ფულს გზებზე ზოგჯერ საჭირო ხდება ახალი მოწმობის აღება. პაიჭაძემ სთხოვა გარეშე საქმეთა სამინისტროს მიიღოს ზომები ჩრდილო კავკასიაში მყოფ ქართველთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ახალი ამბები

✦ გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენელი ბ-ნი ფონ-დრიუფელი აგვისტოს 27-ს წარუდგა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს სამხედრო მინისტრს გრ. ლორთქიფანიძეს, ბ-მა ფონ-დრიუფელმა საგარეო საქმეთა სამინისტროს უკვე გადასცა თავის რწმუნებულობის სიგელები.

✦ საოლქო სასამართლოს სესია. საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესია აგვისტოს 30, სიღნაღს მიემგზავრება თავმჯდომარე ს. გელოვანს ხელმძღვანელობით.

✦ უცხოეთში გასვლის ყალბი მოწმობები. განსაკუთრებულმა რაზმა აღმოაჩინა ბაქოს გასასვლელი და შემოსასვლელი ყალბი მოწმობების დამამზადებელი ჯგუფი. აღმოაჩინეს ყალბი მოწმობები და უნახეს ყალბი ხელთ მოწერილები და ბეჭედი. ამ ჯგუფის წევრები სამხედრო სატუსაღოში მოათავსეს საქმე დაწვრილებით გამოსაძიებლად საოლქო სასამართლოს პროკურორს გადაეცა.

✦ საქართ. საელჩო ჩრდილო-კავკასიაში. გარეშე საქმეთა სამინისტრომ ს. ი. პაიჭაძე დანიშნა კონსულად შემდეგ ადგილებში: ყუბანის ოლქში, სტავროპოლის და შავი ზღვის გუბერნიაში, სოჩის და ტუაფსეს გამოკლებით. კონსულის უფლება გავრცელდება დონის რაიონზედაც. დასახელებულ ადგილებში დაინიშნა ვიცე-კონსულებიც: არმავირში გიორგობიანი, როსტოვში ჩიქოვანი და ეკატერინოდარში ხიფთიბიძე. კონსული ს. პაიჭაძე სტავროპოლში იცხოვრებს.

✦ ხობის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში საჭიროა ორი მასწავლებელი. სასურველია მათემატიკოსი და ბუნების მეტყველი. მსურველებმა თხოვნები და საბუთები უნდა გამოგზავნონ დ. ხობში სასწსვლებლის გამგის სახელზე. დ. ხობში მიმოსვლა წარმოებს რკინის გზით.

✦ მცხოვრებთათვის შეშის მიწოდების საქმე. რადგან ფასებმა საზღაპროდ აიწია ბაზარზე და ფართო მასისთვის მიუწდომელი გახდა პირველი მოთხოვნილების საგნების შეძენა, სატყეო განყოფილებამ მიზნათ დაისახა ამ შემთხვევაში დახმარების ხელი გაუწოდოს მათ და ამ მიზნით ის აძლევს საექსპლოატაციოთ ტყეებს სხვა და სხვა საზოგადო ორგანიზაციებს: ქალაქთა კავშირს, ერობათა, თემთა კავშირებს, რკინის გზებს, სამხედრო უწყებას და სხვათ, რათა ამ გზით ადგილობრივ მკვიდრთათვის დამზადდეს ხელმისაწდომ ფასებში შეშა, ნახშირი და სხვა.

✦ ტფილისის პოლიტექნიკური სასწავლებელი იღებს თხოვნებს მექანიურ—წმინდა მექანიურ და ელექტრო-მექანიურ და საამშენებლო—გზათა საამშენებლო და სახურდთ-მოძღვრო განყოფილებებზე. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ- უნდა იქნეს: 1) 4 კლასის ატესტატი, 2) მეტრიკული მოწმობა, 3) მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ ტფილისი, დიდი მთავრის ქუჩა, № 70.

✦ 1920 წლის მოსავალი. მომარაგების სამინისტროს ცნობით მიმდინარე 1920 წ. მოსავალი იმდენად დამაკმაყოფილებელია, რომ პურის მოსავლის რაიონებს თავისავე მოსავლით შეუძლიათ თავის გამოკვება. იქ სადაც სიმინდი მოდის, მოსავალი გარდა იმისა, რომ ხალხის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, შეიძლება ზედმეტი 2 მილიონი ფუთი მოგროვდეს. მომარაგების სამინისტრო ღებულობს სასწრაფო ზომებს, ახალ მოსავლამდი ხალხისთვის ხორბლის მისაწოდებლად. პურის შემოტანა ნორმალურად სწარმოებს. ამ ჟამად ფოთში სცლიან გემს, რომელმაც მოიტანა 110.000 ფუთი ქერი. ამას გარდა მომარაგების სამინისტრო საზღვარგარედ გაუოიგდა მრავალ დაწესებულებას საქართველოში იაფ ფასიან პურის შემოტანაზე. პირობის ძალით იმათ პური ახალ მოსავლის მოწევამდი უნდა შემოიტანონ.

✦ სამხედრო საველე სასამართლო. სამხედრო საველე სასამართლომ აგვისტოს 24 გაარჩია საქმე კოჯორის მოგვარაკეებზე გაკარცვის მიზნით შეიარაღებულ თავდასხმის შესახებ. ბრალს სდებდენ სამ კაცს: ერთ მათგანს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა და ორს კი 15 წლით საკატორღო მუშაობა.

✦ საოლქო სასამართლო ბათომში. ბათომიდან ტფილისს დაბრუნდა ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი მ. კანდელაკი, რომელიც გაგზავნილი იყო იუსტიციის მინისტრის მიერ ბათომში სასამართლო აპარატის მოსაწყობად და საოლქო სასამართლოს დასაარსებლად. კ. კანდელაკმა იუსტიციის მინისტრს თავის მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგინა მოკლე ხანში მ. კანდელაკი კვლავ ბათომს გაემგზავრება.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

გერმანული პრესა.

გერმანია და ბელგია.

თანახმად „დეიტშე ალგემაინე ციტუნგის“ ცნობისა ბელგიის რკინის გზათა სამართველომ გერმანიას 4000 ვაგონი შეუკვეთა, ბელგიის სასურსათო ბიურომ კი 3000 ვაგონი. ეს მოვლენა აიხსნება მით, რომ ბელგიის მწარმოებლებმა თვითეულ ვაგონში 27,000 ფრანკი მოითხოვეს მაშინ, როდესაც გერმანიის მწარმოებლებმა ითხოვეს მხოლოდ 21,000 ფრანკი.

რეინის და ვესტფალიის რკინის მწარმოებელნი.

რეინის და ვესტფალიის რკინის მწარმოებლებმა ესპანეთთან და შვეიცარიასთან დასდვეს გძელვადიანი ხელშეკრულება მათგან მადნის შესყიდვის შესახებ. ასეთ ხელშეკრულების დადება აიხსნება მით, რომ აღნიშნულ მწარმოებლებს არ უნდათ დამოკიდებულნი იყვენ ლორენის მაღაროებზე, რომლებიც საფრანგეთის ხელში იმყოფება.

სინდიკალისტების კონფერენცია.

სინდიკალისტების კონფერენციაზე 94 ხმით 18 ხმის წინააღმდეგ უარჰყვეს მოსკოვთან კავშირის დაჭერა.

იაპონიის მისია.

იაპონიის მისია, რომელიც ლონდონისაკენ მიემგზავრება, 25 აგვისტოს მარსელში მოვიდა.

მოლაპარაკება მინსკში.

ვარშავის მთავრობამ მხოლოდ ეხლახან გამოაქვეყნა ნოტა მინსკის მოლაპარაკების შესახებ. ნოტაში აღნიშნულია (დამახინჯებული) და აცხადებს ენერგიულ პროტესტს ბალშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც პოლონელების დელეგატებს ძლიერ ავიწროებენ.

მოსკოვის რადიოს ცნობა.

ბრესტ-ლიტოვსკის ფორტებისათვის ბრძოლა გრძელდება. ლვოვის რაიონში ბრძოლაა. ჩვენ ხელთ ვიგდეთ ტყვეები, 13 ტყვიის მფრქვეველი და ვინტოვკები. ყირიმის ფრონტი. ორეხოვის და ხერსონის რაიონებში გრძელდება მკაცრი ბრძოლები.

პოლონეთი და საბჭოთა რუსეთი.

ინგლისმა, იტალიამ და საფრანგეთმა წინადადება მისცა პოლონეთის მთავრობას არ წარუდგინოს საბჭოთა რუსეთს დიდი მოთხოვნილებანი და მოკავშირეთა მიერ წინასწარ განსაზღვრულ ხაზს არ გასცილდენ. ასეთივე დარიგება მისცა პოლონეთს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საფრანგეთის გაზეთები სწერენ, რომ თუ საბჭოთა რუსეთი არ დასთანხმდა ზავზე მაშინ მოკავშირეები ბლოკადს გააძლიერებენ, გააგზავნიან გემებს დანციგში, მოაწყობენ სამხედრო ექსპლოტაციას და ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად პოლონეთს ყველა მეზობელ სახელმწიფოს გააერთიანებენო.

მოკავშირენი და გერმანია.

გერმანიის გაზეთები იუწყებიან, რომ მოკავშირეები პოზნანის უკან დაბრუნებას პირდებიან გერმანიას, თუ იგი პოლონეთს სამხედრო დახმარებას აღმოუჩენსო. რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერები ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ.

კომუნისტების კრება.

შესდგა კრასნოპრესნენის რაიონის კომუნისტების კრება: კრებაზე განაცხადეს, რომ აღნიშნულ რაიონიდან ფრონტზე 120 კომუნისტი მოხალისე მიემგზავრებაო. ამ ფრონტზე გამგზავრებულნი წაიყვანა იმ მატარებელმა, რომელიც ნიკოლოზის რკინის გზის პირველ რაიონის კომუნისტებმა გააკეთეს. ამ მატარებლის გასაკეთებლად მუშები ყოველ დღე ზედმეტ სამი საათის სამუშაოს ასრულებდენ.

თავდაცვის საგჯოში.

თავდაცვის საბჭომ აგვისტოს 27 სხდომაზე მოისმინა 1894 და 1895 წლებში დაბადებულთათვის ორი თვის შვებულების მიცემის შესახებ. საბჭომ დაადგინა მისცეს ორი თვის შვებულება ამა წლის სექტემბრის 5, 1894 და 1895 წლებში დაბადებულნი მობილიზაციით გაწვეულ ყველა სათადარიგო ჯარის კაცს შემდეგი წესით: 1. ზემოაღნიშნულ წლებში დაბადებულნი ჯარის კაცნი დათხოვნილ იქნან იმავე წესის მიხედვით, რო. გორი წესითაც 1888 და 1889 წლებში დაბადებულნი დაითხოვეს. 2. შტატს ზევით მყოფ ოფიცერთა სია სექტემბრის ხუთამდი წარედგინოს სამხედრო სამინისტროს პირად შემადგენლობის უფროსს, თანახმად მთავრობის ბრძანებისა, მათი სათადარიგო ნაწილში გადასარიცხავათ, 3. შვებულებაში დათხოვნილ ჯარის კაცთა სრული სია დაუყონებლივ გაეგზავნოს სამხედრო ნაწილის აღრიცხვის უფროსებს. 4. შვებულებაში განურჩევლად დათხოვნილ უნდა იქნას ზემოაღნიშნულ წლების ყველა ჯარის კაცი. 5. სრულიათ, ან დაგვიანებით გამოცხადებულებს ორი თვის შვებულებას აძლევს სათანადო სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსი მათი პასუხისგებაში მისაცემათ ადგილობრივ სამოქალაქო გამომძიებლებზე საქმის გადაგზავნით, ხოლო დეზერტირების საქმეები ეგზავნება სათანადო გამომძიებელს სამხედრო ერთეულთა უფროსების მიერ.

საქართველოს ხე-ტყის მრეწველობა

მომარაგების სამინისტრომ საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის შესახებ მოხსენება შეადგინა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ თანახმად არსებულ ცნობებისა, რესპუბლიკის ტყეების სივრცე, ბათომის ოლქის გამოკლებით, დაახლოებით 2 მილ. დესიატ. უდრისო. ტყის ჯიშის შორის იშვიათი ერთეულები გვხვდება. გურიის და სოხუმის რაიონის ზოგიერთ აგარაკებში სხვათა შორის გვხვთება წითელი და ამყოლეობითი ხეები—უკანასკნელისაგან სამუსიკო იარაღებს ამზადებენ. რესპუბლიკის იმ ტყეთა სივრცე, რომელთა ექსპლოატაციაც შესაძლებელია, უდრის 792.649 დეს. ამ რიცხვში არ შედის ბათომის ოლქის ტყეები. ამ მხრით პირველი ადგილი სოხუმის რაიონს უკავია, მეორე ქუთაისის და შემდეგ ტფილისის. ყოველ დღე შეასაძლებელია შემდეგი რაოდენობის ტყის გამოშვება: წიწოვანი ტყის 1.106,000 კუბ. მეტრი და ფოთლოვანი ტყის კი 949.000 კუბ. მეტრი. ეს ცნობები გვაჩვენებს რომ საქართველოს ტყის მეტად დიდი სიმდიდრე აქვს. საქართველოს ტყეები მთელ ამიერ კავკასიის ტყეების ნახევარს უდრის და იგი შეიძლება გახდეს რესპუბლიკის ერთ ერთი დიდ შემოსავლიან წყაროდ. რა კი საადგილმამულო კანონების ასრულება ერობებს დაევალა, ამიტომ აღიძრა საკითხი იმის შესახებ, თუ რა უფლება უნდა ქონდეს ბანკს ასეთ ამხანაგობების მოწესრიგებაში. სულ 228 ამხანაგობა ითვლება. ამათგან 216 არის ტფილისის გუბერნიაში და 12 ქუთაისის გუბერნიაში დაგირავებულია 81.563 დესიატინა მიწა. მამულების დაგირავებაზე გაცემული თანხა თავის გადასახადებით შეადგენს 4 მილიონ მანეთს. ამ საკითხის შესახებ ფინანსთა სამინისტროს საბჭოს თათბირი ექნება. სულ უმცირესი წლის განმავლობაში რესპუბლიკის ტყეს $4^1/_2$ მილიარდი მანეთის მიცემა შეუძლია ტყის ექსპორტი ევროპაში უკანასკნელ წლეებში მოეწყო. ხე-ტყის მასალა უმთავრესად იტალიაში გაჰქონდათ. ოსმალეთში ტყის გატანას დიდი სახე არ მიუღია. ევროპაში უმთავრესად ნიგზის და პალმის ტყის მასალა გაჰქონდათ. საქართველო ტყის მხრით საექსპლოატაციო ქვეყანას. მაგრამ თავის რესურსებთან შედარებით საქართველოდან ტყის მასალას ყოველთვის ცოტა გაჰქონდათ. ამ ჟამად ქვეყნის ეკონომიურ ასაყვავებლად საჭიროა, რომ საქართველომ ომის დროს დაკარგული ბაზარი კვლავ მონახოს. ამიტომ სახელმწიფომ მთავარი ყურადღება სატყეო მეურნეობას უნდა მიაქციოს. განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიექცეს იმ რაიონებს სადაც სატყეო მრეწველობა სუსტად არის განვითარებული: მაგალითად სოხუმის, ლეჩხუმის, და სვანეთის რაიონებს და სხ. ამ რაიონებში სატყეო მრეწველობის განვითარება საქართველოს მისცემს საშუალებას, არა მარტო თავის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისას, არამედ იგი შეძლებს ევროპაში ტყის ექსპორტის ფართო ნიადაგზე დაყენებას.

კოოპერატიული ცხოვრება

ქალ. ზესტაფონის კოოპერატივ „ერთობის“ წლიური კრება.

ამას წინად შესდგა ადგილობრივ კოოპერატივ „ერთობის“ საზოგადო კრება წლიურ ანგარიშების დასამტკიცებლად. მოხსენება გააკეთა გამგეობის წევრმა ბ. ჯაფარიძემ, დანარჩენი წევრები კრებაზე არ გამოცხადდენ.

მოხსენება მეტად მშრალი და ზერელი იყო; იქ გარდა ციფრებისა საზოდოებას არაფერი მოუსმენია. იგივე განიმეორა სარევიზიო კომისიის სახელით მელ. კიკნაძემ, რამაც შთაბეჭდილება კიდევ გაუარესა. გაიმართა კამათი, საიდანაც ბევრი რამ საინტერესო გამოირკვა, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ კოოპერატივს თავისი იდეური მხარე სავსებით დაუკარგავს: ვაჭრობა ხდება იმავე წესით, როგორც კერძო მაღაზიებში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ კოოპერატივი საქონელს ღებულობს უფრო შეღავათიან პირობებში. საქონლის ყიდვა შეუძლია ყველა მსურველს, რაც კოოპერატივისათვის დიდ ბოროტებად უნდა ჩაითვალოს. წიგნებში წევრებს ნავაჭრი არ ეწერებათ. ამის გამო შეუძლებელია ნაყიდი საქონლის საფასურის რაოდენობის გამორკვევა და დივიდენდის განაწილება. კოოპერატივს უმეტესად უვაჭრია ისეთი საქონლით, რომელიც მოხვედრია, ბაზარზე რიგიანად საღდებოდა. პირველ მოთხოვნილების საგნებისთვის კი სულ არ უზრუნვია. ღღევანდელ პირობებში კოოპერატივებისათვის ესეც მომაკვდინებლად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა თანხების ბრუნვა მთელი წლის განმავლობაში არ აღმატებულა ნახევარ მილიონს და დაუტოვებია წმინდა მოგება 56,000 მან. ისეთ ცენტრში, როგორც ზესტაფონია, ეს თანხა არაარაობას წარმოადგენს, თუ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ფაქტიურად კოოპერატივის თანხის ბრუნვა მეტი იქნებოდა, მხოლოდ ანგარიშები არ არის სწორედ ნაჩვენები. ამის საბუთს გვაძლევს შემდეგი გარემოება: კრებაზე შეკითხვების დროს გამოირკვა, რომ შარშანდელი წლიური ანგარიში, რომელიც უკვე დამტკიცებულია, სწორი არ ყოფილა მაგალ. წლიურ ბალანსის შედგენის დროს მხედველობიდან გამოუშვიათ 10,000 მან. ვალი, რომელიც შემდეგში იძულებულნი შეიქნენ გადაეხადათ. ამ რიგად წმინდა მოგებამ ასეთი საგრძნობი ჯამით დაიკლო. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ბალანსი შედგენილი იყო ცენტრალურ კავშირის ინსტრუქტორ კ. მიქაძის მიერ. თუ მაზრის ცენტრში ეს ხდება, როგორ იქნება დაყენებული სოფლად?!.

ამავე კრებაზე ერთი არა სასურველი მოვლენა გამოირკვა: გამგეობის წევრი პ. საყვარელიძე მთელი წლის განმავლობაში სავსებით არაფერს აკეთებდა, ჯამაგირს კი ყოველ თვიურად წესიერად ღებულობდა, რამაც კრების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. დაადგინეს მოეთხოვოს ბ-ნ საყვარელიძეს უკანვე მის მიერ უკანონოდ მიღებული ჯამაგირები. აღსანიშნავია, რომ ხსენებული პირი ადგილობრივ რაიონის კოოპერატივთა კავშირის გამგეობის წევრად ითვლება და ასეთი მოქმედება სწორედ ვერ არის კარგი ხელმძღვანელისათვის...

კრებამ დაამტკიცა გასული წლის ანგარიშები და აირჩია ახალი გამგეობა. ამასთანავე გამოითქვა სურვილი, რათა მომავალში მაინც გამოსწორდეს კოოპერატივის საქმეები, რომ კოოპერატივი ემსახუროს თავის დანიშნულებას. კრებამ დაამტკიცა შესაფერისი შტატიც-ვნახოთ როგორ წაიყვანებენ მომავალში საქმეს.

S—lli.

ხელოვნება.

სახელმწიფო თეატრში.

სახელმწიფო თეატრის მმართველობა იუწყება, რომ დასის შედგენა დასრულებულია. თეატრის მხატვრული ნაწილის გამგედ მოწვეულია ცნობილი მხატვარი დეკორატორი ვ. სომოვი—მოსკოვის სამხატვრო თეატრის საუკეთესო მხატვარი. თეატრის მმართველობას ახალი მიზან სცენებითა და დეკორაციებით შემდეგი ოპერების დადგმა აქვს განზრახული: „ლალატის", „ევგენი ონეგინის", „სევილიელი დალაქის", „გუგენოტების", „ფაუსტის", „ლოენგრინის" თქმულება შოთა რუსთაველზე" და „ბორის გოდუნოვის". მხატვარი სომოვი დეკორაციების ესკიზებზე უკვე მუშაობს. თეატრის გახსნისას „აბესალომ და ეთერს" დასდგამენ.

მილიციაში

თვალსაჩინო ქურდობა.

ორი კვირის წინათ დესიმონოვის მოედანზე ბოროტ-გამზრახველებმა გაქურდეს ნ. ქორდანიას მეეტლე კოვალიოვი და წაიღეს ნახევარი მილიონის საღირალი საქონელი.

მე 8 უბნის კომისარ ს. ბოლქვაძისა მისი თანაშემწის მაყაშვილის და უფროს მილიციონერ ი. ჯანელიძის ენერგიული ზომების წყალობით ბოროტ-მოქმეობა აღმოჩენილ იქმნა წაღებული საქონლის ნაწილი აღმოჩნდა ძველ ყაჩაღებს. ჯერ-ჯერობით ამ საქმეზე დაჭერილი არიან შემდეგი დახელოვნებული ქურდები და ყაჩაღები, რომლებიც დანაშაულში გამოტყდენ. 1) გვარდიელი ივანე ტიმოთეს ძე აბაკუმოვი. 2) ალექსანდრე გრიგოლის ძე სმირნოვი. 3) ალექსი გრიგოლის ძე სმირნოვი. 4) კონსტანტინე პანენკო 5) დიმიტრი პოპოვი 6) პავლე ვასილის ძე პერეასლავცევი.

— 6 აგვისტოს ჟურნალისტმა ლევან ყიფიანმა განუცხადა სისხლის სამართლის მილიციას რომ მისი სახლში არ ყოფნის დროს უცნობმა ბოროტ-მოქმედებმა გაქურდეს მისი ბინა, საიდანაც წაღებული არის 140000 მან. საღირალი საოჯახო ნივთები, სის. სამ. მილიციამ გამოარკვია რომ ყიფიანის ბინა გაქურდეს ურთიერთ შორის წინასწარ შეთანხმებით პროფესიონალურმა ქურდებმა ნატალია ტულიკოვისა. ივანე კუზმინმა და ვლადიმერ ივანჩეკომ. „დატუსაღებულნი ზემოდ ჩამოთვლილი პირები დანაშაულში გამოტყდნენ, და განაცხადეს რომ ყველა ნაქურდალი ნივთები მათ მიჰყიდეს ვინმე ვასო ხვედელიძეს რომელიც, როგორც გამოირკვა სისტემატიურად ყიდულობს ასეთ ნივთებს და ეზიდება მას კახეთში სადაც სცვლის პურზე. ხვედელიძემ ყიფიანის ნივთებიც კახეთში წაიღო მაგრამ ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის მოხელეებმა მას მოუსწრეს და ნივთებითურთ დატუსაღებული ტფილისში ჩამოიყვანეს ქურდების განცხადებით ხვედელიძეს ნივთების საფასურად გადუხდია 8000 მან. უმეტესი ნაწილი ნაქურდალი ნივთებისა აღმოჩენილ იქნა და ჩაბარდა დაზარალებულს. დატუსაღებულნი კუზმინი ტულიკოვი და ივანჩენკო მოთავსებულია № 1. საპყრობილეში.

— სისხლის სამართლის მილიციამ დაატუსაღა ქ. ტფილისში მცხოვრები სარიბეგ ბაბაიანცი რომელსაც ბრალი ედება ივანე კოსტილიოვზე ორას სამოცი ათასი მანეთის საქონლის გამოტყუბისა. კვლევა ძიება სწარმოებს.

21 აგვისტოს ტფილისის სამხედრო საწყობების უფროსმა გაგუამ განუცხადა სისხლის სამართლის მილიციას რომ ხსენებული საწყობებიდან ინჟინრის ქუჩ. სახ. № 5 მოიპარეს არხივი. საოლქო საინჟენერო სასამართლოს სისხლის სამართლის მილიციამ ეჭვით დაატუსაღა ვასო აბაშიძე, გიორგი ოგანეზოვი და ალექსასდრე ოქოიანცი რომლებიც დანაშაულში გამოტყდნენ და უჩვენეს ადგილი სადაც მათ გაჰყიდეს ნაქურდალი საქმის ქაღალდები აღმოჩენილი ქაღალდები დაუბრუნდა კუთვნილებისამებრ. დატუსაღებულები გადაეცა სასამართლოს.

ზანცხადებანი

დაიკარგა პირადობის მოწმობა გიორგი ზაქარიას ძის დოლიძის სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.

2419 3—3

ტფილისის მაზრის ერობა.

ამით აცხადებს რომ ოცდათერთმეტ აგვისტოს მის სადგომში (რუსთავილის ქ. № 6.) 1 საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა სოფელ ხაშმში ოთხ თვალიანი წყლის მომუშავე წისქვილის იჯარით გადასაცემათ.

მსურველთ შეუძლიანთ წერილობითაც განაცხადონ თავისი ფასი. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებათ საწინდარი 25000 მან. უნდა იყოს წარმოდგენილი. დაწვრილებით ცნობები ერობის სატეხნიკო განყოფილებაში მიეცემათ 1—2 საადამდის. 2451 2—2

დაიკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან, სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, პირადობის მოწმობა და პურის ბარათი, მიღებული არსენალიდან გიორგი მათეს ძე კენჭიაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

2441 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიხეილ იოსების ძე შმოისის სახელზე, მიღებული ბაქოს მილიციის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2462 3—2

დაიკარგა პასპორტი № 2219 დავით დავითის ძე ჟუჟიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მდებარე მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2463 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 101 მიღებული სამტრედიის მილიციის უფროსის სამმართველოდან, მეტრიკული ამონაწერი № 51, მიღებული სოფ. საჭილაოს ეკლესიიდან და სამხედრო სამსახურის ნუსხა, № 8202, მიღებული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, ვასილი ლევანის ძე ჯონჯალიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

2455 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ამატონოვის ქუჩა № 50 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ელისაბედ ივანეს ასული თომასოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2456 3—2

დაიკარგა წიგნაკი № 144 ფულის დახმარების შესახებ ოლღა რევაზოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2461 3—2

ვაჩიანის საზოგადოების კომისარმა (გუმურდოს რაიონის ახალქალაქის მაზრისა) დაჰკარგა მთავრობის მიერ მიცემული ბეჭედი ულერბო, წარწერით „ვაჩიანის საზოგადოების კომისარი" მპოვნელმა უნდა მიმართოს ახალქალაქის მაზრის კომისარს.

1953 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა, № 987 რკინის გზის სტამბის ლიტოგრაფიიდან მიღებული, სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების და სრულიად თავისუფლების მოწმობები, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ალექსანდრე მიხეილის ძე დანდუროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

2347 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული 6 კომისარიატიდან, პირადობის მოწმობა სურათით, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან და მოწმობა, მიღებული საგუბერნიო ათასეულიდან მე-5 უბნის მილიციონერის ალექსანდრე ზაალის ძე ნეგიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2420 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა კოსტანტინე პეტრეს ძე გასპარიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცავის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2421 3—3

დაიკარგა ატესტატი № 345 არტავაზ და მიხეილის ძე ეგიაზარიანცის სახელზე, მიღებული სომხების სასულიერო სემინარია „ნერსესიანიდან". გაუქმებულად ჩაითვალოს.

2428 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ბორჯომის ქუჩაზე № 7 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის სალახაიას. გაუქმებულად ჩაითვალოს

2407 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი იუდა მოსეს ძე ჩაჩანაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2468 3—1

დაიკარგა სომხეთის ქვეშევრდომობის მოწმობა № 291 ერვანდ პაიტიანცის სახელზე, მიღებული ტფ. ვაჟთა გიმნაზიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2476 3—1

დაიკარგა პასპორტი გაცემული ტფილისის მდებარე მოქალაქეთა სამმართველოს მიერ ვალი-საფრალ ოღლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2406 3—3

დაიკარგა ერთი სულის სასურსათო წიგნაკი რუბენ ჭელიძის სახელზე, მიღებული რკ. გზის ცენტრალურ სასურსათო კომიტეტიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2388 3—3

დაიკარგა სამხედრო უბანზე მიწერილობის მოწმობა № 409 ალექსი ლავრეს ძე პეგანოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.

2329 3—

დაიკარგა ნუსხა № 126 დავით ბაგრატის ძე დოლიძის სახელსე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2423 3—3

სახელმწიფო ქაღალდების ექსპედიცია ამით აცხადებს გაუქმებულად მოწმობას № 746, რომელიც იყო მისგან მიცემული ამა აგვისტოს 24-ს, ხუთას მანეთიანის ბონი ლიტ, რ. ქ. 0047 შესახებ. 2424 3—3

განცხადება.

რადგან ძალიან ბევრი შევროვდა ფოთის სადგურზე შავი ქვით დატვირთული ვაგონები და დროზე არ იყიდება პატრონების მიერ 27 აგვისტოდან შეცვლამდე, თანახმად ბ. გზათა დეპარტამენტის დირექტორის განკარგულებისა ფასი ვაგონების გაცდენის გადიდებულია სამასი მანეთიდან ათას მანეთამდე. დღე და ღამეში. 865 3—2

დაიკარგა სამუდამო პასპორტი, მიღებული ტფ. სამაზრო სამმართველოდან 1912 წ. და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. შაქრო ივანეს ძე ჩერქეზიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2453 3—2

დაიკარგა პასპორტი № 38 მიხეილ გალუსტის ძე პეტროსიანის სახელზე, მიღებული ბაქოში 1908 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს.

2454 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა იოსებ ალექსის ძე ზარხასაშვილის სახელზე, მიღებული სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილების ფეხსაცმელების სახელოსნოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2455 3—2

დაიკარგა სამხედრო გამწვევ უბანზე მიწერილობის ბარათი დავით ივანეს ძე ყიასოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.

2387 3—2

ტფილისის მეორე საკრედიტო საზოგადოება აცხადებს, რომ დაკარგულია რუსეთის სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორაში შესანახად შეტანილ პროცენტიან ქაღალდების კვიტანციები №№ 324|753, 324|1394 და 324|2016. გაუქმებულად ჩაითვალოს.

2401 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული სოდმელის საზოგ, (რაჭის მაზრა) და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა ლონგინოზ ილარიონის ძე ყიფიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2408 3—3

დაიკარგა პასპორტი ნაგი მირზა თაგი ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2464 3—1

დაიკარგა სათადარიგო ჯარში გადარიცხვის მოწმობა № 5400 პარუჩიკი აბესაძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 16|IX 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2465 3—1

დაიკარგა საზღვარ გარეთელი პასპორტი, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ისრაილ ისხავის ძე (იგივე მამაჯანის ძე) აივაზიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.

2425 3—3

დაიკარგა საერთო განყოფილების 8 კლასის დამთავრების მოწმობა ფიგი ტიმოთეს ასული ტრიონ და ფილიდეს სახელზე, მიღებული ტფ. 2 ქალთა გიმნაზიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2473 3—1

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ თანახმად სავ. სახ. ძმ. გ. და ნ. ტერ-აბრამოვებისა და ამხ. წევრთა საზოგადო კრების დადგენილებისა (ოქმი № 45 1920 წ. ივნისის 13-ს შემდგარ კრებისა) და თანახმად ჩემდამიმიცემული რწმუნებულებისა, ამით ვაუქმებ ყველა მინდობილებებს, გაცემულს აღნიშნულ სავაჭრო სახლის მიერ თავის წევრების ან და სხვა ყველა თანამშრომლების სახელზე ვინაიდან ხდება აღნიშნულ სავაჭრო სახლის ლიკვიდაცია და მთელი აქტივი პასივი გადაეცემა ტფილისის ნავთის მრეწველთა და სავაჭრო აქციონერულ საზოგადოება „პეტროლს" სავ. სახ. გ. და ნ. ტერ-აბრამოვის და კომპ. ამხანაგი მომწესრიგებელი ივანე ნიკიტის ძე ტერ-აარამოვი. 2488 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების ბარათი სანდრო ლევანის ძე ბაიაძის სახელზე, მიღებული გორის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2430 3—3

დაიკარგა მორიგ-ჯარში გაწვევის უწყება № 35119 ივანე პეტრეს ძე ადამაშვილის სახელზე, მიღებული მე-11 უბნის კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2477 3—1

დაიკარგა პასპორტი სერგეი არიუთინის ძე მირაბიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2481 3—1

დაიკარგა ქუთაისის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის დამთავრების დოკუმენტები ეკატერინე სამსონის ასული ქუთათელაძის სახელზე, მიღებული ამავე სასწავლებლიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 2487 3—1

მიწათ-მოქმედების სამინისტროს ოთხ სემესტრიანი სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი კურსების გაგეობა

ამით აცხადებს, რომ დაწყებულია თხოვნების მიღება 1 სემესტრზე. კურსები შესდგება სამ განყოფილებისაგან:

მემინდვრეობის, მეგაღეობის და მესაქონლეობის.

იმ პირთ, რომელნიც დაამთავრებენ აღნიშნულ კურსებს ენიჭებათ სპეციალობის მიხედვით აგრონომ-მებაღის, აგრონომ-მემინდვრის და აგრონომ ზოოტექნიკის წოდება თანახმად დამფუძნებელ კრების მიერ ამა წლის 16 მარტს გამოცემულ დეკრეტისა.

კურსების მსმენელათ მიიღებიან საშუალო და უმაღლეს კურ-ს დამთავრებულნი; აგრეთვე მიიღებიან თავისუფალი მსმენელნიც. თხოვნა იწერება კურსების დირექტორის სახელზე (მთავრობის დაწესებულებათა შენობა ყოფილი კადეტის კორპუსში, სასოფლო-სამეურნეო განყობილება) და მასთან ერთად წარდგენილი უნდა იყოს მოწმობა განათლების შესახებ და გადასახადი სამასი მანეთი (300 მ.) მსმენელთათვის და 350 თავისუფალ მსმენელთათვის. თხოვნების მიღება გრძელდება ამა წლის ოქტომბრის 1-მდე. მეცადინეობა დაიწყება ოქტომბრის 10-ს.

2471 2—1 კურსების დირექტორი ა. ნიმოვი.